ახალგაზრდული სპექტაკლი

ურიბოედოვის თეატრის ახალ დადგმას „ჩვეულებრივ სასწაულს“ სამართლიანად შეიძლება ეწოდოს ახალგაზრდული. დამდგმელ-რეჟისორ ნანა დემეტრაშვილისათვის ეს სადიპლომო სპექტაკლია, აკადემიის სტუდენტ მურაზ მურვახისისა და ასპირანტ-კომპოზიტორ ვაჟა აზარაშვილისათვის — პირველი დამოუკიდებელი ნაშრომი თეატრში, ნელი კილასონიძისა და ანზორ გვაძაბიასათვის — აქტიორული დებიუტები.

ხალისიანი გახდომილება სუფევს დარბაზში. შვარცის ზღაპრის გმირები იცინიან და დასცინიან, ტირიან და განიცდიან, უყვართ და ჩვენც ვვაყვარებენ. ისინი ცხოვრობენ სცენაზე.

ზღაპრულ ატმოსფეროს ქმნის მხატვარი, სატირიკულ მხილებამდე დაჰყავთ თავიანთი გმირები ა. ლევინს (მეფე), რესპ. დამს. არტისტს ი. ზლობინს (მინისტრი), ლ. გავრილოვს (პირველი მინისტრი), ვ. პაშას (სეფე ქალი), ვ. კუხალეიშვილს (ორიენტია), სიყვარულის ყოვლისშემძლე ძალას გვიჩვენებენ ნ. კილოსანიძე (მეფის ასული) და ა. გვაძაბია (დათვი), შესაბამისი მუსიკით მიჰყვება კომპოზიტორი შეყვარებულებსა და მეფის ამალას. სპექტაკლის საერთო გადაწყვეტაში და ცალკეულ მიზანსცენებში რომანტიკულად ამაღლებული და კომიკური სიტუაციების სინთეზს აღწევს ახალგაზრდა რეჟისორი.

მიუხედავად იმისა, რომ მთავარი როლის (ჯადოქარი) შემსრულებელი მსახიობი (გ. ვოლინეცი, რესპ. დამს. არტ.) ამოვარდნილია სპექტაკლის საერთო გადაწყვეტიდან, ხოლო ზოგიერთ მსახიობს ადგილებში ღალატობს ზომიერების გრძნობა, შვარცის „ჩვეულებრივი სასწაული“ ახალგაზრდა შემოქმედთა პირველი საგულისხმო ნაბიჯია.

ტ. ქართველიშვილი

კომპოზიტორი ვ. აზარაშვილი, რეჟისორი ნ. დემეტრაშვილი, მხატვარი მ. მორგანიძე